ბიჭი და წიგნი

თაროზე ბევრი წიგნია. ბიჭი ერთ წიგნს იღებს.

ამ წიგნს წითელი ყდა აქვს. წიგნში სურათებია. ბიჭს ძალიან მოსწონს ერთი სურათი. სურათზე არის ორი ზებრა. იქ დიდი ასოებით წერია „ზებრა“.

ბიჭს უყვარს ცხოველები. სახლში მას ლეკვი ჰყავს. ეზოში ორი კუ ცხოვრობს. იქვე ორი ცხენია და ერთი კვიცი.

ბიჭი სურათებს უყურებს. წიგნში არის კუს სურათი. ძაღლის სურათი არ არის. მას ძალიან უყვარს ეს წიგნი.

ბიჭი წიგნს თაროზე დებს. ის იღებს ფურცელს და კალამს. ბიჭი ძაღლს ხატავს. მას ძალიან უყვარს ხატვა.

შენ რის ხატვა გიყვარს?



დონე: B დაწყებითი

▶▶▶ ტექსტის გაგება

1 რის შესახებ არის წიგნი, რომელიც ბიჭს უყვარს?

ა) ლეკვის შესახებ.

ბ) ცხოველების შესახებ.

გ) ხატვის შესახებ.

2 სად დევს წიგნი?

ა) თაროზე. ბ) მაგიდაზე. გ) სკამზე.

3 რა ფერის ყდა აქვს წიგნს?

ა) თეთრი. ბ) მწვანე. გ) წითელი.

4 რა ჰყავს ბიჭს სახლში?

ა) ზებრა. ბ) კნუტი. გ) ლეკვი.

5 წიგნში <u>არ არის</u>:

ა) ზებრას სურათი. ბ) კუს სურათი. გ) ძაღლის სურათი.

6 მონიშნე „კი“ ან „არა“.

№	**წინადადება**	კი	არა
1.	ეზოში სამი კუ ცხოვრობს.		
2.	ბიჭს ძალიან უყვარს წითელყდიანი წიგნი და ხატვა.		
3.	ბიჭი იღებს ფურცელს და ხატავს კატას.		

▶▶▶ ლექსიკა

1 შეარჩიე საჭირო სიტყვა და ჩაწერე წინადადებაში.

დებს.	იღებს.	უყურებს.

ბიჭი თაროდან წიგნს _____ .

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) თარო. ბ) წიგნი. გ) ყდა. დ) ფურცელი.

3 დაწერე საჭირო სიტყვა.

ცხენს ჰყავს პატარა _____ .

▶▶▶ გრამატიკა

1 შეარჩიე საჭირო სიტყვები.

1. ორი ზებრა არის _____.

ა) სურათთან. ბ) სურათში. გ) სურათზე.

2. _____ უყვარს ცხოველები.

ა) ბიჭი. ბ) ბიჭმა. გ) ბიჭს.

3. ბიჭი ხატავს _____ .

ა) ძაღლი. ბ) ძაღლმა. გ) ძაღლს.

გრამატიკა

2 რომელია სწორი?

ა) წიგნში ბევრი სურათია.

ბ) წიგნში ბევრი სურათებია.

3 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

მხოლობითი	მრავლობითი
ზებრა	**ზებრები**
ცხენი	_____
კუ	_____
ლეკვი	_____

წერა

დაწერე, რომელია შენი საყვარელი ცხოველები. დახატე ისინი.

_____

_____

_____

_____

_____

_____